



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 17-18 აგვისტო, 2023 წელი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 22 სექტემბერი, 2023

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ია მოსაშვილი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ გაიხარაშვილი, შპს - პეტრე შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო

დავით ტეფნაძე - შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

2023 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10 200
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 8176
	შეჩერებული: 1379
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 2730
	შეჩერებული: 289
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: მათ შორის აფილირებული: 630
	მოწვეული: 688
	სამეცნიერო: 68
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	10.09.2018
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	10.09.2018, სხდომის ოქმი N13
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	9/10/2023
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	11 700

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

2023 წლის 14 აგვისტოს სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ) სტუდენტთა ზვრული რაოდენობის გაზრდის ფარგლებში შემფასებელი ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა. ონლაინ რეჟიმში შედგა ვიზიტის წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2 წარმომადგენელთან ერთად იმსჯელეს ინსტიტუციის მიერ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, ასევე სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე, რასაც შესაძლოა გამოეწვია ეს მოთხოვნა თსსუ-ს მხრიდან. განხილულ იქნა სავარაუდო დღის წესრიგი, რაზეც შეთანხმდა ჯგუფი, შემდგომ კი მოხდა მისი დაზუსტება თსსუ-სთან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით. ვიზიტამდე და ვიზიტის განმავლობაში, ჯგუფის წევრების მიერ განისაზღვრა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთა მიწოდება მოხდა ინსტიტუციაში ვიზიტისას ბოლო ეტაპზე. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა 2 კლინიკა: ა. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა და თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა. პროცესი კარგად იყო ორგანიზებული უნივერსიტეტის მიერ. ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმების მიზნით მოხდა თსსუ-ს კამპუსების დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუების რეჟიმში შეხვდა თსსუ-ს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურის წარმომადგენლებს, ასევე, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ძირითადი აქცენტები იყო გაკეთებული სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოწვევებზე, თუმცა ექსპერტებმა ზოგადად დაფარეს ავტორიზაციის ყველა სტანდარტით გათვალისწინებული საკითხებიც. პროცესი წარიმართა კოლეგიალურად. წარმოდგენილი მასალების, ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის და სხვა დამატებით გამოსათხოვილი დოკუმენტების საფუძველზე იმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა და წარმოადგინა დასკვნა.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ბოლო 5 წლის განმავლობაში იგრძნობა თსსუ-ს განვითარების პროგრესი, პირველ რიგში ეს ნათლად შეიმჩნევა ინფრასტრუქტურის და თანამდროვე სწავლებისათვის საჭირო რესურსების გაუმჯობესებაში. მოწესრიგებულია და დასრულების ეტაპზეა სასწავლო კორპუსების ინფრასტრუქტურა, ასევე თსსუ-ს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას დაემატა ახალი სივრცე აუდიტორიებით, რომელიც მიმდინარე წლის 1 სექტემბერს შევა ექსპლუატაციაში. 2019 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო განათლების აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის რეგიონული ჰაბი - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE – Association for Medical Education in Europe) საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო განათლების ტრენინგებს ატარებს. დაინერგა ინტეგრირებული OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა). ასევე, აღსანიშნავია ფინანსური რესურსების მკვეთრი ზრდა.

რეკომენდაციების შეჯამება¹

- რეკომენდებულია განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია შემუშავდეს სტრატეგიულ გეგმის მიხედვით ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სისტემა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის მექანიზმი, პერსონალის კარიერული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი.

რჩევების შეჯამება

- სასურველია, პერიოდულად, სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების გაცნობა სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებისთვის;
- სასურველია აკადემიური პერსონალის ინსტიტუციასთან აფილირება გახდეს დამაჯერებელი და მას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი;
- სასურველია სტუდენტური სერვისების შეუფერხებლად გაწევის მიზნით გაიზარდოს შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
- სასურველია მეტი რაოდენობით სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევებში;
- სასურველია კვლევებზე გამოყოფილი თანხების ზრდა.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა არსებული და არა მოთხოვნილი² ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

¹ საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

² იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დასკვნის პროექტზე თსსუ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის (რე)ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში ექსპერტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები მნიშვნელოვანი და ღირებულია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადახედა დასკვნის პროექტს და ცვლილებების გარეშე წარმოადგინა თსსუ-ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია

1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 3 პუნქტიანი მისია ისეა ჩამოყალიბებული, რომ ნათლად გამოხატავს სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მომზადების ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში მზაობას, განვითარების და განხორციელების შესაძლებლობებს. მეტი სიცხადისათვის, ასევე წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხედვა და ღირებულებები. თსსუ-ში სწავლება და კვლევა ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი

აკადემიური დიპლომადელი (საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი), სამაგისტრო, სადოქტორო და დიპლომისშემდგომი განვითარების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით საქართველოს და 72 ქვეყნის მოქალაქეებთან მიმდინარეობს საერთაშორისო სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი შემდეგი მიმართულებებით: დარგობრივი აკადემიური ცოდნა, ინფორმაციის მართვა, კლინიკური აზროვნება, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. ინტერვიებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები კარგადაა ცნობილი პერსონალის, სტუდენტების მიერ.

უნივერსიტეტი ვითარდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად; უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდულად საჭიროა სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების გაცნობა სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებისთვის, განსაკუთრებით ახალი თანამშრომლებისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2018-2024 წწ) და სამწლიანი 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმები. კოვიდ პანდემიის პერიოდში ასევე შემუშავდა სამედიცინო განათლების მოდიფიკაციის დოკუმენტი, სადაც მოცემულია სწავლის, სწავლების და შეფასების მეთოდები პანდემიის პირობებში.

სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი შეიცავს სტრატეგიული დაგეგმვი მეთოდოლოგიასაც. ის წარმოდგენილია, როგორც ორმხრივი მიმართულების პროცესი - “ზემოდან ქვემოთ და ქვემოდა ზევით”. დოკუმენტში ნახსენებია, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით მოწვეული ჰყავდათ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ექსპერტი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

<p>უნივერსიტეტში არის ხუთი ფაკულტეტი: მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის. უნივერსიტეტს გააჩნია ორი კვლევითი ინსტიტუტი - სამედიცინო ბიოტექნოლოგიის და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტები; უნივერსიტეტში ხორციელდება 34 საგანმანათლებლო პროგრამა - 7 დიპლომამდელი</p> <p>სამედიცინო განათლების (ერთსაფეხურიანი), 7 საბაკალავრო, 14 სამაგისტრო, 4 სადოქტორო და 1 ქართულ ენაში მომზადების; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი.</p> <p>სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში წარმოდგენილია SWOT ანალიზი, შესაძლებლობები და საფრთხეები, ძირითადი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.</p> <p>2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით თსუ-სთვის 6 პრიორიტეტული მიმართულებაა: ინსტიტუციური განვითარება, სწავლებისა და სწავლის ხარისხის განვითარება, კვლევის განვითარება, სტუდენტების სერვისების განვითარება, უნივერსიტეტის რეიტინგის გაუმჯობესება, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა. ყველა ამ მიმართულებით, ინსტიტუციას აქვს განხორციელებული აქტივობები, ზოგიც მიმდინარე პროცესია. რაც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, არის ის, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული პერსონალი საჭიროებს სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების დეტალურ გაცნობას, განსაკუთრებით ის პირები, ვინც ამ გეგმის შემუშავებისას არ იყვნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები.</p> <p>სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა ასახავს კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებულ ამოცანებს სხვა დეტალებთან ერთად. სამოქმედო გეგმაში, გარდა ინსტიტუციის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისა, ჩანს სხვადასხვა ღონისძიებებში უნივერსიტეტის მხარდაჭერა. მე-6 პუნქტი სწორედ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას ეხება. აღნიშნული გეგმა 2021-2023 წლებისაა და ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ მუშაობენ როგორც მის, ასევე სტრატეგიული გეგმის ახალ ვარიანტებზე.</p> <p>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი. წარმოდგენილია მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების წესი. ინტერვიუებზე გამოჩნდა, რომ პერსონალი იცნობს ამ წესსაც და მონიტორინგის განხორციელების ეტაპზეც ნათლად ისაუბრეს. წარმოდგენილია ასევე მონიტორინგის ოქმები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> - უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები; - განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ; - სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები; - სამედიცინო განათლების მოდიფიკაცია COVID-19 პანდემიის პირობებში; - მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების წესი; - მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა; - მონიტორინგის ჯგუფის ოქმები; - ინტერვიუების შედეგები.
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p> <ul style="list-style-type: none"> -სასურველია, პერიოდულად, სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების გაცნობა სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებისთვის.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა აგებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და მოთხოვნების შესაბამისად. ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე. უნივერსიტეტის დონეზე მართვის ერთეულებს წარმოადგენს: აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო ფაკულტეტის დონეზე მართვის ერთეულებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ორგანიზაციული სტრუქტურის მართვის იერარქიული სისტემა მოიცავს რექტორს, რომელსაც ექვემდებარება ვიცე რექტორი აკადემიური მიმართულებით, ვიცე რექტორი მეცნიერების მიმართულებით, დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რექტორის აპარატი. ვიცე რექტორს აკადემიური მიმართულებით ექვემდებარება: სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი, აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინარული სიმულაციის ცენტრი, საგამოცდო ცენტრი, უცხოური ენების ცენტრი, კულტურის ცენტრი.

ვიცე რექტორს მეცნიერების მიმართულებით ექვემდებარება: სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, სამედიცინო გაზეთი.

კლინიკებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის: საუნივერსიტეტო კლინიკები, პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სპორტის ცენტრი.

რექტორის აპარატს ექვემდებარება: იურიდიული სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური, საქმისწარმოების სამსახური, IT სამსახური, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) ექვემდებარება ეკონომიკური დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი.

უნივერსიტეტის თითოეული განყოფილებისათვის შეიმუშავებულია წესების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს მათ ძირითად ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც აუცილებელია უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დგინდება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი კოორდინირებულად ხდება, მათ შორის გადაწყვეტილება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. უსდ-ს გააჩნია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი. რომელშიც მოცემულია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები. მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსების კრიტერიუმები.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ უსდ გეგმავს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა 1500 სტუდენტით. სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობით გაზრდის საჭიროება განისაზღვრა შემდეგი პარამეტრებით: უცხოური სტუდენტების რაოდენობის ზრდის ტემპი, ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობის ზრდის ტემპი, მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობა, სტატუს

შეცვრებული სტუდენტების აღდგენის მაჩვენებელი. არსებული სიტუაცია არის შემდეგი: ადგილობრივი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა - 5446, საერთაშორისო აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა - 2730.

ადგილობრივი სტატუსი შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა -1090, საერთაშორისო სტატუსი შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა - 289. მთლიანად სტუდენტების რაოდენობა არის 9555. სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა სულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე - 10200. თავისუფალი ადგილები რჩება - 655. უსდ პროგნოზის მიხედვით **630** სტუდენტი მოხილობით აპირებს გადმოსვლას. გამომდინარე იქიდან, რომ სტატუსი შეჩერებული სტუდენტების აღდგენის მაჩვენებელია 20-30%-ი, 1379 სტუდენტიდან უსდ ვარაუდობს დაახლოებით **300** სტუდენტი აღადგენს სტატუსს. ხოლო უცხოელი სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 200-ით იზრდება, შესაბამისად მომდევნო სამი წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ პროგნოზირებულია დაახლოებით **600** სტუდენტით გაზრდა. მთლიანობაში გამოდის $630+300+600=1530 (+/- 100)$. **აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უსდ მიერ განხორციელებული პროგნოზი სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, რეალურია.**

უსდ-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება არჩევის წესით. არჩევნების დანიშვნა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ და დგინდება კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ვლინდება, სამსახური სრულ კოორდინაციაში იმყოფება უსდ-ს ყველა ერთეულთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას განსაზღვრავს დებულება, რომელშიც მოცემულია სამსახურის სამიქნობა და ფუნქციები. სამსახურის შემადგენლობა და ხელმძღვანელობა. გამომდინარე იქიდან, რომ უსდ-ში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული ფაკულტეტი, მხოლოდ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/-ების ხარისხის პოლიტიკის შეფასებისა და უზრუნველყოფისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნა და ინფორმაციის პირველადი დამუშავება.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად ითვალისწინებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ პარადიგმას „დაეგეშე –განახორციელე –შეამოწმე - იმოქმედე“ (PDCA).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. ასევე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები. **აღნიშნული დოკუმენტი ვფიქრობთ საჭიროებს განახლებას ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.**

უსდ-ს მმართველი ორგანოები განიხილავენ სწავლების, კვლევისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებს. ისინი შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე, ადმინისტრაციულ სხდომებზე და სპეციალურად მოწყობილ შეკრებებზე, დადგენილი სტანდარტებისა და ვადების დაცვით.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ უსდ-ში ბიძგი მისცა საქმის წარმოების წესის ცვლილებას. უსდ-ში მოხდა მთლიანად ელექტრონულ წარმოების სისტემაზე გადასვლა. ეს ციფრული სისტემა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების დროულ გავრცელებას ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისთვის. უნივერსიტეტში დაცულია დადგენილი პროცედურული ინსტრუქციები.

უსდ-ში შემუშავებულია ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება რამდენიმე ძირითადი გამოწვევის წინაშე დგას: საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის შენარჩუნება და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესწავლა; მაღალკვალიფიციური პერსონალის

შენარჩუნება; გლობალური საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვა; საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება და ინფრასტრუქტურის თანმიმდევრული განახლება.

უსდ-მ შეიმუშავა მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების წესი. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით ხორციელდება მიმდინარე ადმინისტრაციული პროცესებისა და ოპერაციების ანალიზი და შეფასება. გამოვლენილი ხარვეზების გასაძლიერებლად მენეჯერული მიდგომების დანერგვა უნივერსიტეტის ოპერაციებში. მიმდინარე მენეჯმენტის პროცესებისა და აქტივობების შემოწმება მოიცავს ბიზნეს პროცედურების შეფასებას, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებას და ფუნქციურ დელეგირებას, როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის დონეზე.

ბოლო პერიოდში უსდ-მ განიცადა გარკვეული სტრუქტურული ტრანსფორმაცია ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

უსდ-ს სტრატეგიული გეგმის (2018-2025) მიხედვით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებას, უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სისტემის შემუშავებას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა, ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვას, პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობას, პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში და თანამედროვე მენეჯმენტში. თუმცა ადამიანური რესურსების მარტვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ სტრატეგიულ გეგმაში მითითებული დოკუმენტები ჯერ არ არის მომზადებული.

უსდ-ში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცებულია თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 1 მარტის # 23/1 დადგენილებით. ეთიკის კოდექსი შედგება 8 მუხლისაგან. მეორე მუხლი განსაზღვრავს ეთიკის კოდექსის გამოყენებას, მესამე მუხლი ეთიკის კოდექსის პრინციპებს, მეოთხე მუხლი პერსონალის ვალდებულებებს, მეხუთე მუხლი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ვალდებულებებს, მეექვსე მუხლი უსდ სტუდენტის ვალდებულებებს.

ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდებით“ (მუხ.35), თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 11 იანვრის #23/1 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესით“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის #24/1 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით.

უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის გამოვლენის მექანიზმი. პლაგიატიზმის გამოვლენაზე რეაგირების მიზნით უსდ-მ შეიმუშავა „წესი ანტიპლაგიატის შესახებ“, დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 6 ივლისის N24/17 დადგენილებით. უსდ იყენებს „Strikeplagiarism“-ის პროგრამას, რომლის საშუალებით არეგულირებს პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციას, გამოვლენასა და რეაგირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეთიკის კოდექსი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული გეგმა;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- უსდ-ს შინაგანაწესი;
- ინტერვიუს შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები;

- რეკომენდებულია შემუშავდეს სტრატეგიულ გეგმის მიხედვით ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სისტემა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის მექანიზმი, პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობი მექანიზმი.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია კურსდამთავრებულთათვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის, მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურ- და ქართულენოვანი პროგრამებისთვის) მოთხოვნების შესაბამისი როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი კომპეტენციების გამოიმუშავება. აღნიშნული, შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და/ან მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების წინაპირობაა. საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განვითარების პროცესში დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნები, გაანალიზებული აქვს დამსაქმებლის, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია. მასში აკადემიური პერსონალთან ერთად ჩართულია დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, სტუდენტი, ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამები შედგენილია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული (ECTS) სისტემის შესაბამისად და დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თსუ-ში 1 ECTS კრედიტი 30 საათია. ყველა პროგრამას აქვს დადგენილი სტრუქტურა, მასში მითითებულია: პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, სწავლების ენა, პროგრამის მიზნები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სწავლა/სწავლების მეთოდები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის

განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები, დასაქმების სფეროები, დიპლომის შემდგომი განათლება და სასწავლო გეგმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება მრავალკომპონენტური, 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასებებისთვის განკუთვნილია 60 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდა 40 ქულიანია. სტუდენტმა კრედიტის მისაღებად უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა.

სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით (A, B, C, D, E) და ორი სახის (FX და F) უარყოფით შეფასებას. უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტს უფლება აქვს, დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში. დადებითა შეფასება დასკვნით გამოცდაზე 20 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში (50% და მეტი), გარდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა, სადაც დადებით შეფასებად ითვლება 24 და მეტი (60 % და მეტი) ქულის მიღება.

წარმოდგენილი პროგრამებიდან:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამები 4 წლიანია და მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საიდანაც 224 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, ხოლო 16 ECTS კრედიტი განკუთვნილია არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი. სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით მემკვიდრეობითობის პრინციპითაა განაწილებული და ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია.

- ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა 4 წლიანია და მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საიდანაც 224 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, ხოლო 12 ECTS კრედიტი განკუთვნილია არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფარმაციის ბაკალავრი. სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით მემკვიდრეობითობის პრინციპითაა განაწილებული და ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია.

- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურ- და ქართულენოვანი პროგრამები 6 წლიანია, 360 კრედიტური, საიდანაც 327 კრედიტი ეთმობა ძირითად, ხოლო 33 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებს. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - დიპლომირებული მედიკოსი. პროგრამები ინტეგრირებულია, აგებულია მემკვიდრეობითობის პრინციპით და მოიცავს 4 ეტაპს: I - IV სემესტრები - საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და ბიოსამედიცინო მეცნიერებათა სწავლების ეტაპი, V-VI სემესტრები - პრეკლინიკური სწავლების ეტაპი, VII- X სემესტრები - კლინიკური სწავლების ეტაპი და XI-XII სემესტრები - პრაქტიკული წელი.

სტუდენტი სწავლების პირველივე წლიდან იწყებს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შესაბამისად სტუდენტთა შეფასების პროცესში ფართოდ გამოიყენება სამედიცინო განათლებაში საერთაშორისოდ აღიარებული ისეთი მეთოდები, როგორცაა OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა და OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. საპილოტე რეჟიმში დაგეგმილია ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის შეფასების ისეთი თანამედროვე მეთოდის დანერგვა, როგორცაა სანდო პროფესიული აქტივობის (EPA - Entrusted Professional Activities) შეფასება. EPA განხორციელდება სამუშაო ადგილზე შეფასების (WPBA - Workplace Based Assessment) ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (MiniCEX - Mini-Clinical Evaluation Exercise), პირდაპირი დაკვირვებით შეფასება (DOPS - Direct Observation of Practical Skill) და შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვა (CbD - Case-Based Discussion).

უნდა აღინიშნოს, რომ თსსუ-ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი გეგმის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული და ვადებში გაწერილი აქვს

კონკრეტული ქმედებები მედიცინის უმაღლესი განათლების ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების შესაბამისობაში მოსაყვანად.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის #24/4 დადგენილებით. დოკუმენტი ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმების ერთობლიობას როგორცაა სტუდენტთა მიღწევების, განთესვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტა/შეჩერების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებაში სწავლის შედეგების ანალიზი და ბოლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების ანალიზი. პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით - საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი და სადოქტორო პროგრამებისთვის ეს პერიოდი 3-5 წელია, ხოლო სამაგისტრო პროგრამებისთვის 2-4 წელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მაში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი
- შრომის ბაზრის კვლევა ცალკეულ პროგრამებთან მიმართებაში
- დამსაქმებლის, სწავლებაში ჩართული და ადმინისტრაციული პერსონალის, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი ცალკეული პროგრამების მიხედვით
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების ანალიზი
- თსსუ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამები
- თსსუ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი
- ობიექტრად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის მიმდინარეობის შედეგები თსსუ კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში 23.01.23 – 23.02.23
- 2022 წლის 16 ნოემბერს განახლებულ მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის სამოქმედო გეგმა

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

- აკმაყოფილებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისგან.

პერსონალის მართვის პროცესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით, ცალკეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. ამასთანავე, შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც აზუსტებს ადამიანური რესურსების შერჩევის, დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის საკითხებს, შემუშავებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი, აფილირების და წახალისების წესი.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ემსახურება 6 ფაკულტეტი-მედიცინის, მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის. ფაკულტეტებზე არსებული სასწავლო დეპარტამენტების საერთო რაოდენობაა 86.

უნივერსიტეტის დამხმარე ერთეულებია: რექტორის აპარატი, კანცლერის აპარატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 5 დეპარტამენტი, 10 სამსახური, 8 ცენტრი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო გაზეთი .

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა ღია კონკურსის წესით, თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის #23/6 დადგენილებით დამტკიცებულია „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის რეგლამენტი“, სადაც მოცემულია საკონკურსოდ აუცილებელი მოთხოვნები. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საკონკურსო თანამდებობებზე დამტკიცება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ. ადმინისტრაციული პერსონალი შეირჩევა არჩევნების წესით, ფარული კენჭისყრით.

2019-2020 სასწავლო წლიდან თსსუ შემუშავებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მიხედვით. შეფასებას ახდენს როგორც ადმინისტრაცია, ასევე სტუდენტი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის ძირითადი პირობები, კანდიდატთა შერჩევას განსაზღვრავს დამხმარე პერსონალის შესარჩევი მულტიმომქმედი კომისია, უკანასკნელი დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. კომისია გასაუბრების შედეგებითა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად რეკომენდაციას აძლევს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას პირის სამსახურში მიღების თაობაზე.

მიმდინარე სასწავლო წლის მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 406 (403 აფილირებული), მათ შორის: პროფესორი – 85, ასოცირებული პროფესორი –172, ასისტენტ – პროფესორი – 149. სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა - 68, ხოლო ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალის რაოდენობაა 310. პერსონალის აღნიშნული საერთო რაოდენობა დაწესებულებასთან მათი აფილირების მაჩვენებლის გათვალისწინებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას, პროგრამების განმახორციელებელთა რაოდენობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა კონტიგენტის მაჩვენებლები და ამ პროგრამებზე მათი თავისებურებები საჭიროებები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი, მათი დატვირთვა პასუხობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების დროში სტაბილური განხორციელების ასევე კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და სხვა აუცილებელი საქმიანობის შესრულების პირობებს, პერსონალის მიერ ინტერვიუების პროცესში (აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, დეკანების, პროგრამის ხელმძღვანელების პანელები) მკაფიოდ დემონსტრირებული მზაობა, ასევე მატერიალური რესურსები და მულტივად განახლებადი

თანამედროვე ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტების სტაბილურ განხორციელებას სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშითა და ინტერვიურების შედეგებით დასტურდება ინსტიტუციის მხრიდან ზრუნვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებისა (გადამზადება, ტრენინგ კურსები) და მათ ფინანსური მხარდაჭერის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავი თსსუ ბაზაზე სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის AMEE რეგიონალური ცენტრის არსებობა, სადაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში საერთაშორისო ექსპერტების მიერ გადამზადების შესაძლებლობა. 2023 წ.კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები შეადგენს 1162000ლ.

მაღალია აკადემიური პერსონალის თსსუ- სთან აფილირების მაჩვენებელი, მზარდია სახელფასო პოლიტიკა, რაც საშუალებას იძლევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაქსიმალურად დაიტვირთოს უნივერსიტეტის სივრცეში და არ საჭიროებს სხვა დამატებით ალტერნატიულ საქმიანობებს. თუმცა ინტერვიურების შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი სათანადოდ არ იცნობს აფილირების წესს (აღნიშნული წესის თანახმად, „აფილირებული აკადემიური პირი თსსუ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და: თსსუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ითვლება თსსუ-ში; აქტიურად არის ჩართული თსსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში“), არ აქვს გაცნობიერებული აფილირების არსი და უპირატესობები. შესაბამისად სასურველია ინსტიტუციასთან აფილირება გახდეს დამაჯერებელი და მას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი.

პერსონალს უტარდება ანონიმური კვლევა სამუშაო გარემოს და შრომის პირობების შეფასების მიზნით, შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ღონისძიებები გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსს შინაგანაწესი
- თსსუ წესდება
- თსსუ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თსსუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი
- თსსუ აფილირების წესი და პირობები
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები (CV)
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- სასურველია აკადემიური პერსონალის ინსტიტუციასთან აფილირება გახდეს დამაჯერებელი და მას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სწავლის თითოეული საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების შეჩერების შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები, რომლებიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უნივერსიტეტის წესდებაში. ასევე ინტერვიუებით დასტურდება, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ მობილობით/ შიდა მობილობით.

უსდ-ს და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტის ინტერესებს. მასში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ვადა და შეწყვეტის პირობები. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ჩარიცხვის შემდეგ ჰქონდათ გაცნობითი შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან სადაც მათ მიიღეს საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებულ ნორმატიულ დოკუმენტებზე, მათ უფლებებზე და მოვალეობებზე (პანდემიის დროს ასეთი შეხვედრები ტარდებოდა ონლაინ). უნდა აღინიშნოს, რომ თსსუ-ში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ თავისი შეფასება. ამ პროცესის არსებობა დაადასტურეს ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა.

ზემოთ აღნიშნულ სერვისებთან ერთად უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული განვითარების სამსახური. სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია სტაჟირების თუ დასაქმების შესახებ. აღნიშნული სამსახური არის მთავარი დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის. მათი ორგანიზებით წელიწადში 2-ჯერ ტარდება დასაქმების კვირეული. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ თუკი ადრე სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის იყენებდნენ პირად კონტაქტებს დღეს ეს ურთიერთობა არის ფორმალური სახის და კარიერული განვითარების სამსახურის ჩართულობით მათ უკვე დაასაქმეს სტუდენტები. გარდა დასაქმების ფორუმებისა კარიერული განვითარების სამსახური სტუდენტებს ელექტორულ ფოსტაზე უგზავნის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების შესახებ. თუმცა ინტერვიუს დროს უსდ-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში არსებული რესურსით შეიძლება თავი იჩინოს მცირე ხარვეზებმა და შესაბამისად სასურველი იქნებოდა ადმინისტრაციული კადრების რაოდენობის გაზრდა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა. მის შემადგენლობაში 2 წლის ვადით ირჩევენ 126 დელეგატს. მათი ორგანიზებით სტუდენტებს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო ისე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ექსტრაკურუკულარულ აქტივობებში. შიდა საუნივერსიტეტო ღონისძიებები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

უსდ ასევე დაინტერესებულია სტუდენტების ჩართვით კვლევით ღონისძიებებში და ამისთვის აქვს გამოყოფილი ფინანსური რესურსი რათა მოხდეს მათი დაინტერესება და ხელშეწყობა. სწორედ ასეთი პროექტების დახმარებით უნივერსიტეტმა უკვე დაიმატა რამდენიმე ახალგაზრდა მკვლევარი და

აკადემიური/ პერსონალი. უსდ-ს ასევე გააჩნია სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხელს უწყობს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს მიიღონ შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება და სტიპენდიები. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი 2014 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა შესაბამისად 15 000 ლარიდან 30 000 ლარამდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1347 • სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები • უნივერსიტეტის სტრუქტურა • სტუდენტური თვითმმართველობის დებულება • ინტერვიუები
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
<ul style="list-style-type: none"> • სასურველია სტუდენტური სერვისების შეუფერხებლად გაწევის მიზნით გაიზარდოს შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
<p>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სწავლებას, კვლევას და ფარმაცევტულ საქმიანობას ერთობლიობაში, ურთიერთისგან განუყოფლად განიხილავს და აღიარებს სწავლების და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტების სხვსხვ. დეპარტამენტებსა და უნივერსიტეტთან აფილირებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში (ბიოტექნოლოგიის, ფარმაცოქიმის), მათ შორის უცხოელი კოლეგების ჩართულობით. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში დაგროვილია დიდი რაოდენობით კლინიკური და თეორიული მასალა, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას კლინიკური და ფუნდამენტური კვლევების ჩასატარებლად.</p> <p>ოსსუ აქვს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დიდი პოტენციალი, შემუშავებულია "ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესი"; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების</p>

განხორციელება ხდება არამართო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, ასევე სხვა ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან თანამშრომლობით.

კვლევითი გარემოს შექმნისა და მაქსიმალური მხარდაჭერის მიზნით შექმნილია სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახური, მიმდინარე კვლევის შედეგები ინტეგრირებულია ინსტიტუციის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, კვლევის შედეგები გენერირებულია კონკრეტულ პროგრამებსა და დისციპლინებში, მიეწოდება სტუდენტებს სააუდიტორიო მეცადინეობების ფარგლებში, რაც დადასტურებულ იქნა აკადემიური პერსონალის ინტერვიუების პროცესში.

უნივერსიტეტში შექმნილია „თსუ ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტი“, რომელიც ახორციელებს ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ შეფასებას, უზრუნველყოფილია ანტიპლაგიატი.

მოქმედი სადოქტორო პროგრამებია: „მედიცინა“, „სტომატოლოგია“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, „ფარმაცია“, რომელთა ფარგლებში მიმდინარე მონაცემებით ხორციელდება ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის 153 პროგრამა. 2022 წელს თსუ-ის ბაზაზე დაფუძნდა და 2023 წლიდან სარედაქციო საქმიანობის პირობებში 2 ნომერი გამოსცა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალმა Georgian Biomedical News (ISSN (Online): 2720-8796), რაც ხელს შეუწყობს თსუ აკად. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარებას.

მზარდია ინსტიტუციის მიერ კვლევის პროცესის მხარდაჭერის მიზნით საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსება 2018წ. შეადგენდა - 7387060ლ, 2022წ. – 8883450ლ, ხოლო 2023წ.- 9168662ლ, ეს უკანასკნელი თსუ ბიუჯეტის შეადგენს 4%. კვლევების აღნიშნული მზარდი დაფინანსება განაპირობებს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში პროგრამების განმახორციელებელი შესაბამისი ადამიანური რესურსის სხვ.სხვ. საჭიროებების, მათ შორის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

კვლევების შეფასება ხდება პროგრამების მიხედვით, მაგალითად, ხდება სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასება, რომლის მექანიზმი მოცემულია დოქტორანტურის შესახებ დებულებებში. თავად დოქტორანტის და მაგისტრანტის ყოველწლიური ანგარიშის შეფასება ხდება დებულებებით დოქტორანტურის და მაგისტრატურის შესახებ.

აკადემიური პერსონალის დატვირთვაში შედის სამეცნიერო კვლევის საათებიც, რაც რეგულირდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ დადგენილებით. პერსონალის პროდუქტიულობის გაზრდის კუთხით კვლევებთან მიმართებით, მოქმედებს პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. პერონალმა დადასტურა ამ წესის გამოყენების მაგალითები, კერძოდ, სამეცნიერო სტატიების დაბეჭდვის თანხების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მხრიდან. აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად სამეცნიერო აქტივობების შესახებ ანგარიშს გადასცემს ფაკულტეტს, რაც საბოლოოდ მეცნიერებათა აკადემიას ეგზავნება. ფაკულტეტების მიხედვით წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევების ანგარიშები, ასევე ჩატარებული გამოკითხვების შედეგები. უნდა აღინიშნოს, კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენების შემთხვევები, მაგალითად ფარმაციის პროგრამაში გამოყენებული კვლევების შედეგები.

თსუ-ში მოქმედებს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესი“, რომლის თანახმად დოქტორანტები სხვადასხვა სტიპენდიებით არიან უზრუნველყოფილნი. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ საჭიროა მეტი რაოდენობით სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევებში, რაც თავისთავად კავშირშია კვლევებზე გამოყოფილი თანხების ზრდასთან.

სადისერტაციო ნაშრომების შეფასება ხდება თსუ-ის მედიცინის /სტომატოლოგიის /საზოგადოებრივი ჯანდაცვის /ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა

და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (მუხლი 5-დისერტაციის დაცვა) დებულების შესაბამისად.

სადისერტაციო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, ამის შესახებ ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები და როგორც ინტერვიუებიდან იკვეთება, კონფერენციებზე წარდგენილი ნაშრომები მათ გატარებული აქვთ პლაგიატის პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსსუ კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულება
- <https://tsmu.edu/>
- <https://www.gbmn.org/>
- <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1543>, <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1541>
- <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1539>, <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1540>
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/15869750_1558697500.pdf
- https://tsmu.edu/ts/images/dxp/160782_1666007782.pdf
- <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1552>/<https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1553>/<https://tsmu.edu/ts/axa.php?lang>
- <https://tsmu.edu/ts/axa.php?lang=ge&id=1555>
- დოქტორანტების გამოკითხვების შედეგები;
- პრემიის, დანამატის, დახმარებისა და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი;
- სასწავლო- სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები;
- ინტერვიუების შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- სასურველია მეტი რაოდენობით სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევებში.
- სასურველია სტუდენტურ კვლევებზე გამოყოფილი თანხების ზრდა.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- 7.1 მატერიალური რესურსი
- 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
- 7.3 საინფორმაციო რესურსი
- 7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე მოხდა მატერიალური რესურსების დათვალიერება. კერძოდ ადმინისტრაციული კორპუსის, სასწავლო კორპუსების, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის აპ.ურუმადის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დათვალიერება. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ უსდ ფლობას 111,354 კვმ -ის უძრავ ქონებას. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები. (ზოგიერთი სარეკრეაციო სივრცე განახლებულია), თეორიული სწავლების აუდიტორიები, სათავსოები, ჯგუფური მუსაოებისათვის სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სასწავლო კაბინეტები, დარგისათვის დამახასიათებელი ლაბორატორიები, საოპერაციები, პალატები, სივრცეები.

უსდ-ში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ სასწავლო ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება. შენობა უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სველი წერტილებით, რომელიც მუდმივად მარაგდება წყლით. შენობები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ინვენტარით, მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელი და საევაკუაციო გეგმებით. თუმცა აპ.ურუმადის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ საევაკუაციო გასასვლელი კარი იღება გარედან შიგნით და უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ. გარდა ამისა აღნიშნულ კლინიკაში ბოლო სართულზე მოსახვედრად სპეციალური საჭიროების პირისათვის არ არის მოწყობილი შესაბამისი პირობები. უსდ-ს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ჰყავს სამედიცინო პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის და აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. უსდ შენობის მთელ პარამეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ჰყავს გამოყოფილი დაცვის თანამშრომელი. წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას შენობანაგებობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები.

დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგად ვლინდება, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. კერძოდ 2018 წელს განხორციელდა 18 ინფრასტრუქტურული სამუშაო, 2019 წელს - 19, 2020 წელს -12, 2021 წელს - 7, 2022 წელს - 18, ხოლო 2023 წელს 6. 2024- 2027 წლებში 14 ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. ადგილზე დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფისათვის თვალსაჩინო იყო მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს სწავლის დაწყებისათვის დასრულდება რაც რა ტქმა უნდა უსდ საშუალებას აძლევს მიიროს გაზრდილი რაოდენობის სტუდენტები.

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია გაზრდილი ბიუჯეტით. უსდ პროგნოზირებს სტუდენტების რაოდენობის ზრდას, რაც განაპირობებს ბიუჯეტის ზრდას 5%-ის ოდენობით.

თსსუ-ში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა საბიბლიოთეკო სივრცე. უნივერსიტეტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, მოხდა მხოლოდ ზედაპირული დათვალიერება. ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან შეხვედრისას დაზუსტდა დეტალები და დოკუმენტურად შემოწმდა წარმოდგენილი მასალა, ასევე ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია. ბიბლიოთეკის სტრუქტურა, ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ელექტრონული რესურსები მიცავს ელექტრონულ კატალოგს, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს, ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ელექტრონული წიგნები, სახელმძღვანელოები, ჟურნალები ატვირთულია სილაბუსებში შემავალი ლიტერატურის შესაბამისად. საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა ასევე ვებ გვერდიდანაა შესაძლებელი; მოვიდ პანდემიის პირობებში განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული ბიბლიოთეკის გაციფრულებაზე. უნივერსიტეტს აქვს ელ.წიგნების ასატვირთი სპეციალური პროგრამა “Nexus”, მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს. ბიბლიოთეკა პერიოდულად ატარებს ტრენინგებს პერსონალისათვის და სტუდენტებისთვის. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ერთ-ერთი ასეთი ტრენინგი ჩატარდა “Nexus” პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკა ჩართულია ასევე ანტიპლაგიატის პროგრამის განხორციელებაში. ბიბლიოთეკის განახლებისათვის ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოყოფილია თანხები. წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენოვანი სტუდენტების მიერ შევსებული ბიბლიოთეკის კითხვარების ანალიზი.

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის დოკუმენტში.

თსსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რექტორის აპარატის დებულებით განისაზღვრება. აქვე მოცემულია IT სამსახურის ძირითადი ფუნქციები. IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ყოველწლიურად ხდება კომპიუტერული ბაზის განახლება. ინტერნეტ წვდომა აქვს უნივერსიტეტის ელ.რესურსებით მოსარგებლე ყველა პირს. თსსუ-ის სტრუქტურებში მოქმედი ყველა პერსონალური კომპიუტერი გაერთიანებულია ქსელში, რომელიც ჩართულია ინტერნეტში ოპტიკური ხაზით (200 მბიტი/წმ გლობალური და 1000 მბიტი/წმ ლოკალური სიჩქარე). კომპიუტერული ტექნიკა არის საბიბლიოთეკო სივრცეშიც. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სასერვერო სივრცე და სერვერები. რაც შეეხება ელექტრონულ სისტემებს: თსსუ დოკუმენტბრუნვისთვის იყენებს eFlolw-ს; სასწავლო პროცესების მართვის სისტემას, სადაც მომხმარებლები (დეკანატები, პერსონალი, სტუდენტები) იღებენ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თავად ათავსებენ ინფორმაციას და საჭირო დოკუმენტებს, განათავსებულია სასწავლო ბარათი, სტუდენტებს აქვთ პერსონალური გვერდი, სადაც იღებენ ინფორმაციას თავიანთი აკადემიური მოსწრების თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ; სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი; რეზიდენტთა ონლაინ-რეგისტრაციის სისტემა; ელექტრონული საგამოცდო სისტემა; უნივერსიტეტის ვებ გვერდი. ქვე გვერდი ორ ენოვანია: ქართული და ინგლისური. მისი განახლება მოხდა 2018 წელს და პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ადმინისტრაციის წარმომდგენლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტი ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებიდან და საკუთარი შემოსავლისაგან. შემოსავლის წყაროებს წარმოადგენს: წავლის საფასურიდან შემოსავალი(ძირითადი შემოსავალი); • სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსება; სამეცნიერო - კვლევითი გრანტებიდან შემოსავალი;

2023 წლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი ბიუჯეტის 57,1%-ს შეადგენს, სამედიცინო საქმიანობიდან შემოსავალი შეადგენს - 36.7%-ს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობიდან (მ.შ გრანტებიდან) - 1.8%-ს, ეკონომიკური და სხვა საქმიანობიდან - 4.4%-ს. ბიუჯეტის შემოსავლები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ 2009 წლეთან შედარებით 2023 წელს გაიზარდა 9 ჯერ, ხოლო წინა წელთან შედარებით 0,56%-ით. უსდ-ს მომდევნო ოთხი წლის ბიუჯეტის პროგნოზის მიხედვით 2027 წელს ბიუჯეტი გაიზრდება 235 395 000 ლარამდე, რაც 2023 წელთან მიმართებით იქნება 8%-იანი ზრდა.

უსდ-ს კლინიკური ბაზების სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 50 640 000 ლარია.

ბიუჯეტის ხარჯები მოიცავს შემდეგი მუხლებს: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა.

დაწესებულებისაგან გამოთხოვილი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, კერძოდ სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების დაფინანსებას და პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე უსდ 2023 წელს დახარჯა 9 168 662 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 4,2%-ია. ხოლო კადრების მომზადებასა და განვითარებაზე 2023 წელს დაიხარჯა 116200 ლარი რაც მთლიანი ბიუჯეტის 0,52%-ია. სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე გაწეული ხარჯები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ზრდადია. კერძოდ 2018 წელს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე დაიხარჯა 7387060 ლარი, ხოლო 2023 წელს 9168662 ლარი.

უსდ უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის, კერძოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფინანსური აუდიტის ჩატარებას, რომლის შედეგად შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. უსდ მიერ წარმოდგენილი იყო 2023 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ფინანსური და მატერიალური რესურსი, რომელიც წლიდან წლამდე ფართოვდება და უმჯობესდება, დამატებით 1500 სტუდენტის ეფექტიანად მომსახურებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

<ul style="list-style-type: none"> - თსსუ-ს ვებ გვერდი; - სტუდენტთა კითხვარების ანალიზი ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით; - განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ; - ხელშეკრულება თსსუ-თვის ინტერნეტის მოწოდებაზე; - ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურებაზე; - რექტორის აპარატის დებულება; - ვიზიტის დროს დათვალეირების შედეგები; - უსდ-ს ბიუჯეტი; - ინტერვიუების შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე) *ია მოსაშვილი*
2. დავით სიხარულიძე (წევრი) *დავით სიხარულიძე*
3. ირინე ფხაკაძე (წევრი) *ირინე ფხაკაძე*
4. თამარ გაიხარაშვილი (წევრი) *თამარ გაიხარაშვილი*
5. დავით ტეფნაძე (წევრი) *დავით ტეფნაძე*